მუხლი 2. სასწავლო პროცესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **უნივერსიტეტი** - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ბ) **აკადემიური უმაღლესი განათლება** – უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) **სტუდენტი** – პირი, რომელიც ,,უმაღლესი განათლების შესახებ" კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

დ) **აკადემიური ხარისხი** – კვალიფიკაცია, რომელსაც სტუდენტს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უნივერსიტეტი;

ე) **ბაკალავრიატი** – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური;

ვ) **ბაკალავრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;

ზ) **მაგისტრატურა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური;

თ) **მაგისტრანტი** – სტუდენტი, რომელიც სწავლობს მაგისტრატურაში;

ი) **მაგისტრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;

კ) **დოქტორანტურა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური;

ლ) **დოქტორანტი** – პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში;

მ) **გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი** – საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელიც გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აგროვებს კრედიტების განსაზღვრულ რაოდენობას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ნ) **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა-** შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.

ო) **სტუდენტის სტატუსის შეჩერება-** დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-

მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

პ) **აკადემიური თავისუფლება** –სტუდენტის უფლება, დამოუკიდებლად განახორციელოს სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა;

ჟ) საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;

რ) **სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი)** – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ

ს) **გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებული სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე და მიზნად ისახავს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ტ) **მობილობა** – სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობისათვის როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

უ) **შიდა მობილობა** - სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს შორის;

ფ) **განათლების აღიარება** - საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან ამავე დაწესებულებებში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას (კრედიტებს) აღიარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ქ) **მოდული** – სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას;

ღ) **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

ყ) **სწავლის შედეგები** – საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები.

შ) **კვალიფიკაცია** – სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით და დასტურდება უნივერსიტეტის მიერ გაცემული დიპლომით;

ჩ) **დიპლომი** – უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ც) **დიპლომის დანართი** – დოკუმენტი რომელიც გაიცემა დიპლომთან ერთად, სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის და მისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად, აგრეთვე დოკუმენტი, რომელიც გაიცემა სტუდენტის მიერ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მიღებული განათლების შინაარსის და საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მისთვის ერთობლივად მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად;

ძ) **პლაგიატი** - აკადემიური არაკეთილსინდისიერება (პლაგიატის ფორმები განისაზღვრება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესით);

წ) **ანტიპლაგის პროგრამა** - პლაგიატის გამოვლენის ელექტრონული სისტემა.

ჭ) **ადმინისტრაციული რეგისტრაცია** - ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ სწავლის მთლიანი საფასურის გადახდას, ან სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების შემთხვევაში სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობის დაფარვას.

ხ) **აკადემიური რეგისტრაცია** -აკადემიური ანუ საგნობრივი რეგისტრაცია გულისხმობს ყოველი სემესტრის დაწყებამდე სტუდენტის მიერ ინდივიდუალური ცხრილის ფორმირებას, ანუ დადგენილ ვადაში სასწავლო დისციპლინების არჩევას.

ჯ) **რეგისტრაცია** - უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოდგენა

ჰ) **ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** – სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომლითაც ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის

გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებული პირების მიერ ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) იმ დონეზე შეძენა, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3[1]) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – ბაკალავრიატის საგანმანათლებლო

პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს.